

სტუდენტის სტატუსის შეჩერება

სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხელოვნების უნივერსიტეტის და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 5 წლით.

ბხსუ-ში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
- აკადემიური შვებულება;
- ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში სწავლის საფასურის გადაუხდელობა;
- დადგენილ ვადაში ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა.

✚ თუ სტუდენტი რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში არ გაივლის სწავლის საფასურის გადახდის ნებისმიერი ეტაპის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას - არ გადაიხდის იმ ეტაპისათვის განსაზღვრულ სწავლის საფასურის ოდენობას, რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

✚ სტუდენტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეჩერება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც სტუდენტმა უნდა მიმართოს რექტორს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება რექტორის ბრძანებით.

✚ სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.